



**Georgian National
Film Center**

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№1, 2013



მიმდინარე კინოპროექტები

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საზნის ნაკეცი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორი – ზაზა რუსაძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „POLare FILM“, რეჟისორი – სიმონ გროს, ნანა ექვთიმიშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ტოტალიზატორული ფსიქოზი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „გოგო ლები“, რეჟისორი – კონსტანტინე ესაძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი და მოყმე“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ზურა ქვაჩახია, რეჟისორი – მარიამ კანდელაკი).
- დასრულდა დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი“ (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია“, რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ალეთეა“, რეჟისორი – თინა გურჩიანი).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეტონატორი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესო სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ (საპროდიუსერო კომპანია – ინდ/მეწარმე „საბა ამირეჯიბი“, რეჟისორი – ალექსანდრე რეხვიაშვილი). ფილმი დასრულდება 2013 წლის მარტში.
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია რეალითი“, რეჟისორი – უტა ბერია). ფილმი დასრულდება 2013 წლის მაისში.



- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძმა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინტეტი“, რეჟისორი - თეონა მღვდელაძე/გრენადე). ფილმი დასრულდება 2013 წლის ნოემბერში.
- სამონტაჟო პერიოდშია ქართულ - სომხურ - ფრანგულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი კოპროდუქცია „ფარაჯანოვი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯემინი“, რეჟისორები - ოლენა ფეტისოვა, სერჟ ავედიკიანი). ფილმი დასრულდება 2013 წლის მაისში.
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი). ფილმი დასრულდება 2013 წლის დეკემბერში.
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბასტრა ფილს“, რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში. ფილმი დასრულდება 2013 წლის მაისში.
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინემა 24“, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).
- მონტაჟის პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ზურა ქვირია, რეჟისორი - კოტე თაყაიშვილი). ფილმი დასრულდება 2013 წლის აპრილში.
- მონტაჟის პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse FILM“, რეჟისორი - ანა ციმინტია). ფილმი დასრულდება 2013 წლის მაისში.
- წარმოების პროცესშია შპს „სანგუკოს“ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმის პროექტი „თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები“ რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე).
- გადღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ქართულ-ბრიტანული კოპროდუქცია „ეპიკი“ (საპროდიუსერო კომპანიები - F & ME, Sps „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - ბენ ჰოპკინსი). ფილმი დასრულდება 2013 წლის დეკემბერში.
- გადღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინოლა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „აბკ“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- გადღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე). ფილმი დასრულდება 2013 წლის ივლისში.
- გადღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლიბ ჯი“, რეჟისორი - ნინო გოგუა). ფილმი დასრულდება 2013 წლის ივნისში.
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი). ფილმი დასრულდება 2013 წლის დეკემბერში.



კონკურსები

2013 წლის იანვარსა და თებერვალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა 4 კონკურსი ფილმწარმოებისთვის. საკონკურსო ფონდი შეადგენს 2 მილიონ ლარს.

1. 2013 წლის 17 იანვარს გამოცხადდა კონკურსი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად, რომელშიც შემოვიდა 18 პროექტი. სახელმწიფო სუბსიდია ამ კონკურსში გაიცემა 450 000 ლარი.
2. 2013 წლის 18 იანვარს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად, რომელშიც შემოვიდა 14 პროექტი. სახელმწიფო სუბსიდია ამ კონკურსისთვის გამოფოფილია 750 000 ლარი.
3. 2013 წლის 30 იანვარს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ერთობლივი წარმოების - კოპროდუქციის დასაფინანსებლად. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2013 წლის 7 მარტი. ამ კონკურსის გამარჯვებული პროექტები სახელმწიფო სუბსიდიის სახით დაფინანსდება 500 000 ლარით.
4. 2013 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად. პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა: 2013 წლის 22 მარტი. ამ კონკურსის ფონდისთვის სახელმწიფო სუბსიდია 300 000 ლარს შეადგენს.



ქართული კინოს წარმატება 63-ე ბერლინალეზე

ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალი (7-17 თებერვალი, 2013) წელს ქართული კინოსთვის განსაკუთრებული და წარმატებული იყო. ქართულ ფილმებს ფესტივალის ორი სექცია მასპინძლობდა - 7 თებერვალს ზაზა რუსაძის მხატვრულმა დებიუტმა „ჩემი საბნის ნაკეცი“ ოფიციალური პროგრამა „პანორამა“ გახსნა. ნანა ექვთიშვილის და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“ კი „ფორუმის“ ფარგლებში იყო ნაჩვენები და ნამუშევარმა ჯილდოც დაიმსახურა - არტჰაუს კინოს საერთაშორისო კონფედერაციის დამოუკიდებელი ჟიურის პრიზი. არტჰაუსის კინოთეატრების საერთაშორისო გაერთიანება (C.I.C.A.E.) აკომპლექტებს ერთ ჟიურის პანორამის და ერთს ფორუმის სექციებისთვის. თითოეული ჟიური გასცემს თითო პრიზს ამ სექციებში. 2013 წლის 63-ე ბერლინალეზე ეს პრიზი „გრძელ ნათელ დღეებს“ ერგო.

ქართველი რეჟისორების ორივე სადებიუტო ნამუშევარი ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით არის შექმნილი. ფილმების შერჩევა მოხდა ბერლინალეს დელეგაციის წინასაფესტივალო ვიზიტის დროს თბილისში (2012 წლის ოქტომბერი).

ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში ზაზა რუსაძის ფილმი შვიდჯერ იყო ნაჩვენები, „გრძელი ნათელი დღეები“ კი ხუთჯერ. 500-600 კაციან დარბაზში ჩვენებების ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული, ორივე პრემიერამ ანშლავით და ხანგრძლივი აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა. ყოველი ჩვენების შემდეგ ფილმის შესახებ მაყურებლის შეკითხვებს შემოქმედებითი ჯგუფის წევრები პასუხობდნენ.

ორივე ქართულ კინოფენებს პრესაში დადებითი რეცენზიები და გამოხმაურება მოჰყვა ისეთი გავლენიანი საერთაშორისო გამოცემებისგან.

British Film Institute - ონლაინ გამოცემა წერს „გრძელი ნათელი დღეების“ შესახებ:

ავტორი: ჯონათან რომნი, Jonathan Romney

„ეს არის ფილმი, რომელიც გპირდება უფრო მეტს ვიდრე უშუალოება, შემდეგ აღვიძებს ცხოვრებაგამოვლილ სიახლოვეს მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ფილმი ფესტივალზე. ეს ნამუშევარი ფორუმშია წარმოდგენილი, მაგრამ მას თავისუფლად შეეძლო კონკურსშიც ბრძოლა. იმედია დისტრიბუტორები ამას შეამჩნევენ“.

ნაწყვეტი „ვერაიეთის“ სტატიიდან „გრძელი ნათელი დღეების“ შესახებ:

ავტორი: ლესლი ფელპერინი By LESLIE FELPERIN

„საქართველოს რეპუტაცია, როგორც ახალი კინემატოგრაფიული ტალანტების ეპიცენტრი, კიდევ უფრო გამყარდა “გრძელი ნათელი დღეებით.” ეს არის ყოვლისმომცველი, კარგად აწყობილი ფილმი გარდატეხის ასაკის შესახებ, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1992 წელს, სიყმაწვილის ასაკში მყოფი ორი მეგობრის გარშემო ვითარდება.“

გერმანული ონლაინგამოცემა RBB ზაზა რუსაძის ფილმის თემაზე შექმნილ სიუჟეტში ამბობს:

„ერთ დროს საქართველო საბჭოთა კავშირის საგანძური და კინოქვეყანა იყო. 80-იან წლებში სამოქალაქო ომმა ეს დიდი ტრადიცია მოსპო. დღეს კი, თითქმის 17 წლის შემდეგ, ბერლინალეზე ისევ არის ქართული ფილმი, რაც ქვეყნის კინემატოგრაფში ახალი ტალღის გამოჩენას ნიშნავს. ისევ დაბრუნდა ქართული კინო ახალი თაობის რეჟისორებით და არაჩვეულებრივად პოეტური ფილმებით.“

Kinozeit.de, ავტორი ბეატრის ბენი ზაზა რუსაძის ფილმს ასე აფასებს:

„ფილმები, რომლებიც ხსნის ბერლინალეს „პანორამას“, უნდა გამოირჩეოდეს ვიზუალური აზროვნებით და ძარღვიანი კინოთი. ქართულ დებიუტზე თითქოს თავიდან გათვლა არ იყო, თუმცა ქართველმა რეჟისორმა ზაზა რუსაძემ მოახერხა ქართული წვლილის შეტანა ფესტივალზე. ფილმში ორი ისტორია ერთად აღიქმება. ერთი მთავარი სიუჟეტური ხაზი დიმიტრის და ანდრეის ამბავია, კადრები კი ყოველდღიურობის ისეთ დეტალებზე გიყვება, რომ აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქალაქში ადამიანური ურთიერთობები თითქოს ცალკე ისტორიაა.“

... ეს არის მაგიური რეალიზმი გაბრიელ გარსია მარკესის სტილში, თუმცა საქართველოდან და მნიშვნელოვნად მეტი მწარეტკბილი მელანქოლიის სინთეზით.“

ქართული ფილმები წარმატებული ბერლინალეს შემდეგ სხვადასხვა ფესტივალმა საკონკურსო პროგრამებში მიიწვიეს. ერთ-ერთია ჰონგკონგის საერთაშორისო კინოფესტივალი.

„ჩემი საბნის ნაკეცი“ ეროვნული კინოცენტრის 2011 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმის მოქმედება ახლო მომავალში, პატარა ქართულ ქალაქში ვითარდება. უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ, დიმიტრი სამშობლოში ბრუნდება და სასამართლოში იწყებს მუშაობას. სამსახურის ერთფეროვან დღეებს მისი გატაცება, კლდეზე ცოცვა, ცვლის. მთის წვერიდან მის წინ, ბუნების ულამაზესი ხედი იშლება და დიმიტრი მშობლიური ქალაქის კლასტროფობიისგან განთავისუფლებას ცდილობს. ასეთია ფილმის მოკლე სიუჟეტური ხაზი, თუმცა ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი მაყურებელს უჩვეულო კინოთხრობას და ბევრ დამაინტრიგებელ სიურპრიზს სთავაზობს.

თორნიკე ბზიავა, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ნაკაშიძე, ავთანდილ მახარაძე, ზურა ყიფშიძე, ლუდმილა მღებრიშვილი-არტიომოვა, მარინა ჯანაშია, მაკა მახარაძე, დარეჯან ხარშილაძე, შოთა ქრისტესაშვილი, აკაკი ხიდაშელი, გიორგი გიორგანაშვილი - ახალგაზრდა და გამოცდილი მსახიობების ეს ჯგუფი ეკრანზე საინტერესო კინოსახეებს ქმნის.

ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა.

ფილმს სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა. ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები ZDF და ARTE; ფილმი ასევე დააფინანსეს გერმანიის და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა.

ფილმის ოპერატორია ცნობილი რუმინელი ოპერატორი ოლეგ მუტუ, რომლის ნამუშევრებს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვება აქვს მოპოვებული. ესენია „ბორცვებს მიღმა“ - კრისტიან მუნჯიუ (2012); „ჩემი ბედნიერება“ - სერგეი ლოზნიცა (2010) და სხვა.

ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა – ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული.

თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმ დროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უბეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწყვეტ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება...

მთავარ როლებში: ლიკა ბაბლუანი, მარიამ ბოკერია



ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეს ბაზრობაზე - European Film Market



ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) 2013 წელს მერვედ წარდგა.

კინობაზრობაზე გაიხსნა საქართველოს სტენდი, სადაც ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებოდა ფესტივალისა და ბაზრობის სტუმრებს და კინოპროფესიონალებს ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, ასევე ახალი ქართული ფილმების და განვითარების სტრატეგიის შესახებ. საქართველოს სტენდზე გაიმართა შეხვედრები ეროვნული კინოცენტრის პარტნიორებთან და საერთაშორისო კოლეგებთან.

სტენდზე წარმოდგენილი იყო ახალი ქართული ფილმების კატალოგი, ეროვნული კინოცენტრის საინფორმაციო ბროშურები, ახალი ქართული ფილმების ტრეილერების დისკი, მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმების დისკი, საქართველოში გადაღებების წარმოების შესახებ ინფორმაცია.

ეროვნული კინოცენტრი თანაწარმოების პლატფორმაზეც - Berlinale Coproduction market წარდგა, რომელიც იყო ორ დღიანი ღონისძიება და კოპროდუქციის შექმნაში გამოცდილ 450 საერთაშორისო კინოპროფესიონალს აერთიანებს. წელს საქართველო, ეროვნული კინოცენტრის სახით, იყო ბერლინის კოპროდუქციის ბაზრობის ერთ-ერთი პარტნიორი ქვეყანა, რომელშიც საქართველოდან წარმოდგენილი რამოდენიმე პროდუსერი მონაწილეობდა. (ესენი იყვნენ: ანა ძიკაშვიძე, თინათინ ყაჯრიშვილი, ნოშრევან ჩხაიძე, ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი, ზაზა რუსაძე.)

11 თებერვალს, ფოკუსში მოხვდა საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც აქვს ევროპული კოპროდუქციის სქემაში ჩართვის რეალური შესაძლებლობები. ქვეყნის სესიაზე (Country Session) თამარ ტატიშვილმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას საქართველოში კინოწარმოების და ქართველ პროდიუსერებთან თანამშრომლობის მაგალითები და წესები.

საქართველო 2012 წელს გახდა სარაევოს კინოფესტივალის რეგიონალურ სივრცეში შემავალი სრულუფლებიანი წევრი. 9 თებერვალს, ეროვნული კინოცენტრის და სარაევოს კინოფესტივალის ინიციატივით, გაიმართა მიღება, რომელიც მიზნად ისახავდა ორი ქვეყნის კინემატოგრაფისტების გაცნობას და დაახლოებას სამომავლო თანამშრომლობის მიზნით.

2013 წელს საქართველო ბერლინის კინოფესტივალზე განსაკუთრებით მასშტაბურად წარდგა. ახალი ქართული ფილმების წარმატების აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა 2013 წლის 10 თებერვალს გამართა წვეულება, სადაც ქართული დელეგაციის გასაცნობად თავი მოიყარეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა კინოპროფესიონალებმა და კინოცენტრის პარტნიორმა ორგანიზაციებმა.

ბადასალაზ მონღანა

ბენ ჰოპკინსის EPIC - დიდი ბრიტანეთის, საქართველოს, გერმანიის და რუსეთის საერთაშორისო კოპროდუქცია

თბილისში არსებულმა საწარმოო კომპანიამ “20 steps Production” საქართველოში დაიწყო ახალი საერთაშორისო პროექტის წარმოება სახელწოდებით EPIC. ეს არის მსხვილი საერთაშორისო კოპროდუქცია, რომელშიც მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუსეთი და საქართველო. გადაღებები საქართველოში 17 თებერვალს დასრულდა. ფილმს მხარდაჭერას უწევს ბრიტანეთის კინოინსტიტუტი, Hessen Invest Film Fund. (ჰესენის კინოფონდი), ფრანგულ-გერმანული კულტურული ტელეარხი Arte და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი.

ფილმი არის კოპროდუქცია, მის შექმნაში მონაწილეობენ: ლონდონის მრავალგზის დაჯილდოვებული კომპანია “Film and Music Entertainment”, რომელსაც ხელმძღვანელობენ მაიკ დაუნი და სემ ტეილორი, დანიელ ზუტას ფრანკფურტში მდებარე კომპანია Brandstorm Entertainment, არტემ ვასილიევის მოსკოვში არსებული კომპანია METRA FILMS და ვლადიმერ კაჭარავას ქართული კომპანია 20 Steps.

ფილმის სცენარი შექმნილია ბრიტანეთის კინოინსტიტუტის მხარდაჭერით. მისი ავტორია მრავალი პრემიის ლაურეატი, ბრიტანელი სცენარისტი პაველ პავლიკოვსკი, რეჟისორი კი – ცნობილი ბრიტანელი პროფესიონალი ბენ ჰოპკინსი. გადაღებები მიმდინარეობდა თბილისსა და მის შემოგარენში, ასევე ახალციხეში. Epic არის ფაქიზი შავი იუმორით გაჯერებული ფილმი დაბნეულ ბრიტანელ რეჟისორზე, რომელსაც კინოაკადემიის ჯილდოები აქვს მოპოვებული. მას სტუმრად იწვევს ახლად დაარსებული სახელმწიფო, რათა მან გადაიღოს ეპიკური ფილმი კავკასიის ერთ-ერთ უცნაურ რესპუბლიკაში. ამრიგად, ემილ ფორესტერს მოსდის მოწვევა კარასტანის ავტონომიური რესპუბლიკაში ვიზიტის მიზნით. რეჟისორმა ჯერ არ იცის, რომ მის ფერადოვან და მრავალსიმომცველ კარიერაში ამ ვიზიტით იწყება ყველაზე გიჟური მოგზაურობა.



ფილმის კასტინგი ჩატარდა ლონდონში, კასტინგის სააგენტოს Wildman Hall-ის მიერ. მსახიობთა ვარსკვლავურ ჯგუფში შედის მეთიუ მაკფადიენი, რომელიც ემილ ფორესტერის როლს თამაშობს. ეს მსახიობი ცნობილია დარსის როლით კირა ნაიტლისთან წყვილში, ფილმში “სიამაყე და ცრურწმენა”. მთავარი ქალი კინოგმირის – ტულპანის – როლს ფილმში თამაშობს მაიანა ბერინგი, რომელიც ცნობილია ბოლოდროინდელი ფილმით “Twilight – Breaking Dawn”. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფილმში ცნობილი ავსტრალიელი მსახიობის ნოა ტეილორის (The Proposition; Shine და ა.შ.) მონაწილეობა, რომელიც ასრულებს კარასტანის დამაარსებლის როლს.

ფილმის მთავარი დამფინანსებლები არიან: ბრიტანეთის კინოინსტიტუტი (ლონდონი), HessenInvest Film Fund ფრანკფურტი), Cine Plus (ბერლინი/ფრანკფურტი), ფრანგულ-გერმანული კულტურული ტელეარხი Arte გერმანიის კინო-დისტრიბუტორული კომპანია Piffი და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი. საერთაშორისო გაყიდვებს აწარმოებს ლოს-ანჯელესში არსებული მსოფლიო გაყიდვების სააგენტო Shoreline Entertainment.

ფილმის შემოქმედებით ჯგუფში ასევე არიან: აღმასრულებელი პროდიუსერი - სტივენ დალდრი, რომლის პირველი ოთხი ფილმი: “ბილი ელიოტი”, “მკითხველი”, “საათები” და “დაუჯერებლად ხმამაღლა” ნომინირებული იყო აკადემიის ჯილდოზე საუკეთესო რეჟისურისთვის. ამ ფილმების წყალობით ოსკარები ასევე მოიპოვეს ნიკოლ კიდმანმა და ქეით უინსლეტმა.

2012 წლის თებერვალში ფილმი საქართველოდან გერმანიაში გადაინაცვლებს ერთი კვირით. გადაღებები ფრანკფურტსა და მის შემოგარენში გაგრძელდება. პოსტპროდუქციას 15 მარტიდან განახორციელებს კომპანია CinePlus/Das Werk, heseni.

2012 წელს კომპანიამ Film and Music Entertainment დაასრულა ექვსი მხატვრული ფილმი: The Parade, რომლის პრემიერაც შედგა ბელინალეზე და რომელმაც მიიღო მაყურებლის პრიზი და ასევე 20 სხვა პრიზი; ანჯეი იაკიმოვსკის იმაგინე, რომლის მსოფლიო პრემიერა შედგა ტორონტოში, ხოლო ვარშავაში ამ ფილმმა მოიპოვა პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და მაყურებლის პრიზი; ჯაკო გროენის Lilet Never Happened; პიტერ გრინგვის Goltzius and the Pelican Company; da Zagreb Stories: Love. ცოტა ხნის წინ კომპანიამ Film and Music Entertainment დაასრულა ჯულიენ ტემპლეს მუსიკალური დოკუმენტური ფილმი Children of the Revolution - რიო დე ჟანეიროს სოციალური, პოლიტიკური და მუსიკალური ისტორია.



ეროვნული კინოცენტრი ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალზე კოპროდუქციის პლატფორმა – როსა დასავლეთი ხვდება აღმოსავლეთს – (WHEN EAST MEETS WEST) 2013



2013 წლის ტრიესტეს კინოფესტივალზე (17-23 იანვარი, იტალია) საქართველო რამდენიმე მიმართულებით იყო წარმოდგენილი.

ფესტივალის ოფიციალურ საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა ნანა ექვთიმიშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დედა“, რომელიც საუკეთესოდ აღიარეს და პრიზიც დაიმსახურა. ხოლო საუკეთესო დოკუმენტურ ფილმებს შორის კონკურსში თინათინ გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ მოხვდა.

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი კი კინოფესტივალის ფარგლებში არსებულ ინდუსტრიულ პროგრამაში WHEN EAST MEETS WEST მონაწილეობდა. თამარ ტატიშვილმა გამართა პრეზენტაცია საქართველოსთან კოპროდუქციის შესაძლებლობების თაობაზე.

ამავე პროგრამაში შერჩეული იყო პროექტი „წყლების მაღაზია“ („FIZZ, a little shop of juices“), რომლის პროდიუსერები არიან ნანა ჯორჯაძე და ჟანა სარდლიშვილი, ხოლო რეჟისორი - სტეფან ტოლცი.

WHEN EAST MEETS WEST - არის სხვადასხვა კინორგანიზაციის (Friuli Venezia Giulia Audiovisual Regional Fund, the Trieste Film Festival, EAVE, ANTENNA MEDIA TORINO, MEDIA DESK ITALIA,) ერთობლივი ღონისძიება, რომელიც ევრიმაჟის პატრონაჟით იმართება ტრიესტეს კინოფესტივალზე, იტალიაში.

მისი მთავარი მიზანია, გაუმჯობესდეს თანამშრომლობა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის. იმართება ინდუსტრიული შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში, ინდივიდუალური შეხვედრები პროექტების მიხედვით და ა.შ. მისია ერთია: ყველა რეგიონის და ქვეყნის კინოსექტორის წარმომადგენლების დაახლოება.



2013 წლის 25 თებერვალს, ეროვნული კინოცენტრის დირექტორს - თამარ ტატიშვილს თანამდებობაზე ყოფნის ვადა ეწურება. იგი ამ თანამდებობაზე 2010 წლის 25 თებერვალს დაინიშნა. ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ახლანდელმა მინისტრმა უახლოეს მომავალში უნდა დანიშნოს ეროვნული კინოცენტრის ახალი დირექტორი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გამოვლინდება და უწყებას 3 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

25 თებერვალს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ეროვნული კინოცენტრის დირექტორის სამ წლიანი საქმიანობა შეჯამდა და ახალი დირექტორის დანიშვნის წესი გახდა ცნობილი.

ეროვნული კინოცენტრი არის კულტურის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც 12 წლის წინ ფრანგული მოდელის მიხედვით დაფუძნდა და ქვეყანაში განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას კინოს სფეროში. კინოცენტრის ძირითადი საქმიანობაა კონკურსების საფუძველზე ქართული ფილმების ნაწილობრივი დაფინანსება, ქართული კინოპროდუქციის ექსპორტი, სექტორისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების კვლევა და საქართველოს პოზიცირება, როგორც გადასაღებად ხელსაყრელი ტერიტორია.

თამარ ტატიშვილის მოღვაწეობა ეროვნულ კინოცენტრში განსაკუთრებით წარმატებული და ნაყოფიერი იყო. მის სახელს უკავშირდება საქართველოს ევროპის საბჭოს კინოს მხარდაჭერის ფონდში „ევრიმაჟი“ გაწევრიანება, ამ ფონდში საქართველოს წარმომადგენელი იყო თამარ ტატიშვილი და ის მომავალშიც წარმოადგენს ქვეყანას „ევრიმაჟში“. საქართველოს მიერთება ისეთ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „ევროპული კინოს პრომოუშენი“; ეროვნულ კინოცენტრში ევროპული კოპროდუქციების დაფინანსების კონკურსის შემოღება; წამყვანი საერთაშორისო ფესტივალების ოფიციალური დელეგაციების ვიზიტები საქართველოში ახალი ქართული ფილმების და ტალანტების გაცნობის მიზნით; ისეთი წარმატებული ფილმების დაფინანსება/წარდგენა, როგორებიცაა: სალომე ჯაშის „ბახმარო“, რუსუდან ჭყონიას „გაილიმეთ“, ნანა ჯანელიძის „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ თინა გურჩიანის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი“, ნანა ექვთიმიშვილის „გრძელი, ნათელი დღეები“ და სხვა.

განსაკუთრებით წარმატებული იყო ქართული კინოსთვის 2013 წლის ბერლინალე, რომლის სხვადასხვა სექციაშიც ორი ქართული ფილმი მოხვდა. (ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკვეცი“ და ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“.) ფილმების შერჩევა მოხდა ბერლინალეს დელეგაციის წინასაფესტივალო ვიზიტის დროს თბილისში (2012 წლის ოქტომბერი).

ბოლო პერიოდში საერთაშორისო კინოსამყარო ალაპარაკდა ქართულ კინოში ახალი ტალღის გამოჩენაზე. (მათ შორის, ბერლინალეს დირექტორი - დიტერ კოზლიკი და საერთაშორისო პროფესიული მედია, რომელიც კინომოვლენებს აშუქებს).

ბოლო 3 წლის განმავლობაში ეროვნული კინოცენტრის პრიორიტეტები იყო:

- კოპროდუქციების წარმოება: რომელთაგან არაერთი წარმატებული პროექტი უკვე შეიქმნა. ნაწილი ასეთი პროექტების წარმოების პროცესშია და 2013/2014 წლებში დასრულდება. მაგალითად, თეონა გრენადეს ფრანგულ-ქართული პროექტი „მმა“, ბენ ჰოპკინსის ინგლისურ-ქართულ-გერმანულ-რუსული პროექტი „ეპიკი“, ზაზა ურუშაძის ესტონურ-ქართული პროექტი „მანდარინები“, თინათინ ყაჯრიშვილის ფრანგულ-ქართული პროექტი „პატარძლები“ და სხვა.
- კინოგანათლების ხელშეწყობა: რობერტ ბოშის ფონდის კოპროდუქციის პრიზის სექციასთან თანამშრომლობა - შესაბამისად საქართველოში 2 სპეციალური „პროექტების ბაზრობის“ ორგანიზება. საგანმანათლებლო პლატფორმასთან „იავე“ თანამშრომლობით სპეციალურად ქართველი კინომოღვაწეებისათვის უორქშოპების და ტრენინგების ჩატარება.
- საერთაშორისო კინოფესტივალებზე საქართველოს და ქართული კინოს პრომოუშენი. (კანის, ბერლინის, ლოკარნოს, სარაევოს, ვისბადენი და მრავალი სხვა.)
- უცხოელი კინომწარმოებლების მოზიდვა საქართველოში ქართული და უცხოური პროექტების საწარმოებლად.

თამარ ტატიშვილი: „კინოცენტრის მართვა ერთდროულად რთული და მომხიბლავი საქმეა. ერთის მხრივ, ხელს უწყობს ქართული კინოს ახალი სუნთქვის აღდგენას და მეორეს მხრივ, მუდმივად არეგულირებ სფეროში არსებულ ჯანსაღ და არაჯანსაღ ამბიციებს და სუბიექტურობას. 2010-2013 წლები ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო - მუდმივად ვგძნობდი სექტორის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას და ვხედავდი როგორ იზრდებოდა საქართველოს მიმართ ინტერესი უცხოეთში. საქართველოში კინო მობილიზაციის შესახებ დღეს ყველამ იცის. დარწმუნებული ვარ, რომ 2013 - 2014 წლებში, ჩვენს მიერ გასულ პერიოდში მხარდაჭერილი პროექტების ეკრანზე გამოსვლით, კიდევ უფრო წინ წავა ეს პროცესი. დიდ მადლობას ვუხდის ჩემს გუნდს და ყველა ინდივიდს და ორგანიზაციას, რომელიც მონდომებით თანამშრომლობდა ჩემთან. იმედს ვიტოვებ, რომ ნებისმიერი მომავალი ხელმძღვანელი შეინარჩუნებს არსებულ სტრატეგიას და მხოლოდ გააუმჯობესებს კინოცენტრის საქმიანობას“.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge